საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №406

თბილისი „05“ 05 2017 წ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის” სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის (საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლის) მსურველთა რეგისტრაციის გამოცხადების შესახებ

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ და ,,მ“ ქვეპუნქტების და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის” დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის N176/ნ ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული წესდების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 02 მაისის N450480 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის” სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის (საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლის) მსურველთა რეგისტრაცია და რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 15 მაისიდან 2017 წლის 29 მაისის ჩათვლით პერიოდი;
2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

ალექსანდრე ჯეჯელავა